პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№63 (5093)

1974 წ. 30 მარტი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

# მეგობრის ხსოვნას...

საქართველოს მოცურავეები და მათი გულშემატკივრები კარგად იცნობდნენ ჭიათურელ გოგონას ლენა ნებიერიძეს, რომელიც ტრაგიკულად დაიღუპა. იგი მხოლოდ 12 წლისა იყო, მაგრამ უკვე მიიპყრო ცურვის მოყვარულთა და სპეციალისტთა ყურადღება, როგორც კარგი მომავლის მქონე სპორტსმენმა. ლენა იყო ოსტატობის კანდიდატი და რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრი.

ჭიათურაში ყოველწლიურად ტარდება ლენა ნებიერიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი გათამაშება, რომელიც მუდამ დიდ ინტერესს იწვევს.

იმ დღესაც ბევრმა მაყურებელმა მოიყარა თავი ჭიათურის დახურულ საცურაო აუზზე. შეჯიბრება ჩატარდა ლენას საყვარელ სახეობებში: 400 და 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი რუსული საშუალო სკოლის მოსწავლეებმა, ლენას თანაკლასელებმა ტ. ვეტერმა (400 მეტრზე — 5.56,4) და ი. შოტმა (800 მეტრზე — 11.47,4), აგრეთვე, თ. ცხადაძემ — 800 მეტრზე ჭაბუკთა შეჯიბრებაში — 10.21,1. ეს სპორტსმენები დაჯილდოვდნენ რუსული საშუალო სკოლის, გაზეთ „ჭიათურის მაღაროელისა" და მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის საქალაქო კომიტეტის თასებით.

კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ო. ვაშაკიძემ გამარჯვებულებს გადასცა საქალაქო კომიტეტის სიგელები და უსურვა შემდგომი წარმატებები სწავლასა და სპორტში.

**შ. ტატიშვილი.**

ჭიათურა.

* * *

**ს უ რ ა თ ზ ე:** მარცხნიდან — ი. შოტი, თ. ცხადაძე და ტ. ვეტერი.

თ. შეყრილაძის ფოტო.



# „ტორპედოსთან" მატჩი გადაწყვეტს...

უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის ბოლომდე მონაწილეებს სათამაშო დარჩათ თითო მატჩი. კიდევ უფრო გაიუარესა სატურნირო მდგომარეობა ოქროს მედლების ერთ-ერთმა მაძიებელმა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის გუნდმა, რომელმაც ბოლოსწინა ორი მატჩი ერთნაირი შედეგით (4:4) დაამთავრა ლენინგრადის „ბალტიკასთან" და ალმა-ათის „დინამოსთან".

თავიანთ ნადავლს კიდევ 4 ქულა დაუმატეს მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებმა. მათ ანგარიშით 3:2 დაამარცხეს კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდი, ხოლო გასულ პარასკევს მოუგეს კიევის „დინამოს" — 4:2.

ორი მატჩი ითამაშეს თბილისის დინამოელებმაც. მათ კიევის თანაკლუბელებთან მარცხი იწვნიეს (5:6), ხოლო ვოლგოგრადის „სპარტაკთან" ერთი ქულა აიღეს — 2:2.

დებულების თანახმად, ოქროს მედლებისთვის და საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებენ პირველი წრის შედეგების მიხედვით პირველ ექვს ადგილზე გასული კოლექტივები. დანარჩენ გუნდებს ბრძოლა მოუწევთ VII-XII ადგილებისთვის. როგორც ცხრილიდან ჩანს, თბილისის „დინამოს" მაინცდამაინც სახარბიელო მდგომარეობა ვერა აქვს. თუ მან ვერ მოიგო პირველი წრის ბოლო მატჩი მოსკოვის „ტორპედოსთან", მაშინ ექვსეულში ვოლგოგრადის „სპარტაკი" გავა. ამ უკანასკნელს შეხვედრა უწევს მოსკოვის უნივერსიტეტის კოლექტივთან, რომელიც ალბათ შეეცდება კიდევ უფრო გაიუმჯობესოს სატურნირო მდგომარეობა.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 29 მარტისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტი (მოსკოვი) | 10 | 9 | 0 | 1 | 53:28 | 18 |
| სსფ ცსსკ (მოსკოვი) | 10 | 6 | 3 | 1 | 53:40 | 15 |
| „დინამო" (კიევი) | 10 | 7 | 0 | 3 | 45:36 | 14 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 10 | 3 | 5 | 2 | 42:38 | 11 |
| „დინამო" (ლვოვი) | 10 | 4 | 3 | 3 | 35:38 | 11 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 10 | 4 | 2 | 4 | 30:35 | 10 |
| „სპარტაკი" (ვოლგოგრადი) | 10 | 1 | 7 | 2 | 42:46 | 9 |
| „დინამო" (თბილისი) | 10 | 3 | 2 | 5 | 48:52 | 8 |
| „ბალტიკა" (ლენინგრადი) | 10 | 2 | 4 | 4 | 41:48 | 8 |
| „დინამო" (ხარკოვი) | 10 | 1 | 4 | 5 | 38:45 | 6 |
| „წკფ" (ბაქო) | 10 | 1 | 3 | 6 | 45:53 | 5 |
| „დინამო" (ალმა-ათა) | 10 | 0 | 5 | 5 | 37:50 | 5 |

# რეკორდიც გაუმჯობესდა

მოსკოვში, ცსკა-ს აუზში, გრძელდება საერთაშორისო შეჯიბრება ცურვაში „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე. ცნობილი გახდა კიდევ ცხრა გამარჯვებულის ვინაობა.

ორი დღის მანძილზე სსრ კავშირის რეკორდი, მართალია, არავის დაუმყარებია, მაგრამ ზოგიერთი ამ ზღვარს საგრძნობლად მიუახლოვდა. ადრეული სტარტისთვის ეს ცუდი დასაწყისი როდია.

100 მეტრზე ბრასით ცურვაში ქალთა შორის მასპინძლების უპირატესობა აშკარა იყო. გაიმარჯვა კრასნოდარელმა ლ. რუსანოვამ („დინამო") — 1.16,4. სტუმართაგან საუკეთესო, ჰოლანდიელი ა. ტე რიეტი V ადგილს დასჯერდა — 1.19,0. ვაჟთა შორის ეს სახეობა მ. ხრიუკინმა (ვორონეჟი) მოიგო — 1.06,0.

100 მეტრზე ბატერფლაით ცურვის ფინალში გავიდნენ ამერიკელი ლ. ჰოუგენი და ჰოლანდიელი ი. აგენბახიც, მაგრამ ისინი საბოლოოდ V და VI ადგილებს დასჯერდნენ. ყველას აჯობეს ლენინგრადელებმა ა. მეერზონმა („ტრუდი") — 1.06,5 და ტ. შელოფასტოვამ (ასკ ) — 1.06,9. ვაჟთა შორის ბადალი არ ჰყავდა მოსკოველ ვ. შარიგინს („ბურევესტნიკი") — 58,3. მეერზონისა და შარიგინის ეს მაჩვენებლები მათსავე საკავშირო რეკორდებს 0,12 და 0,51 წამით ჩამორჩება.

ვაჟთა ესტაფეტა 4×200 მეტრზე სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ნაკრებმა მოიგო — 8.14,7.

და აი, მესამე დღე საკავშირო რეკორდით დაიწყო: 15 წლის ხარკოველმა ნ. პოპოვამ 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში 5.08,8 აჩვენა და 4,6 წამით გააუმჯობესა მოსკოველი ნ. პეტროვას მიერ ორი წლის წინათ დამყარებული რეკორდი. II ადგილზე გავიდა ჰოუგენი — 5.11,4.

შემდეგ პოპოვამ 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაც მოიგო — 4.36,0.

მოსკოველ ა. სამსონოვს ამავე სტილით ამავე დისტანციაზე ცურვაში ვ. ბურეს საკავშირო რეკორდის გასაუმჯობესებლად წამი არ ეყო — 4.07,3.

კვლავ გამოიჩინა თავი ამსტერდამის ერთ-ერთი კონტორის მდივან-მემანქანემ ე. ბრიგიტამ, რომელმაც ამჯერად 200 მეტრზე გულაღმა ცურვა მოიგო — 2.25,4. III ადგილზე გასულმა გ. კუზიკოვამ ჩეხოსლოვაკიის რეკორდი დაამყარა — 2.28,2.

ორი დღეა თავისუფალი სტილით მოცურავე ვაჟთა ის ბილიკი, რომელზეც მოსკოველ ვლადიმერ ბურეს უნდა ესპარეზა, ცარიელია. ამ ნიჭიერ სპორტსმენს, რომელმაც ასპარეზობის პირველ დღეს 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა საგრძნობი უპირატესობით მოიგო, წარმატება პირველმა მამამ და მწვრთნელმა ვალერი ბურემ მიულოცა, მაგრამ მერე გამოჩენილი მწვრთნელი მოულოდნელად ცუდად გახდა და გარდაიცვალა.

# ალექსანდრია—შული, 10 მაისი

ცნობილი გახდა, რომ ჭადრაკში ქალთა შორის მსოფლიო პირველობის ერთ-ერთმა პრეტენდენტმა, საერთაშორისო ოსტატმა ა. კუშნირმა (მოსკოვი) ოჯახური პირობების გამო პირველობის გათამაშების მიმდინარე ციკლში მონაწილეობაზე უარი თქვა. ამის თაობაზე მან განცხადებით მიმართა ფიდე-ს პრეზიდენტ მ. ეივეს. პრეზიდენტმა დააკმაყოფილა კუშნირის თხოვნა და პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩში სათამაშოდ საერთაშორისო ოსტატი მ. შული (ლვოვი) მიიწვია. ამრიგად, ნ. ალექსანდრიას მეტოქეა შული.

ალექსანდრია — შულისა და ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი) — ი. ლევიტინას (ლენინგრადი) ნახევარფინალური მატჩები 10 მაისს დაიწყება. ამჟამად მიმდინარეობს მხარეთა მოლაპარაკება მატჩის ადგილის თაობაზე. თითოეულ მატჩში 10 პარტია გათამაშდება. გამარჯვებულად გამოცხადდება ის, ვინც მეტ ქულას მოაგროვებს. ფაიმის (5:5) შემთხვევაში გამარჯვებულს კენჭისყრა დაასახელებს.

# ოლიმპიური ჩემპიონის დაბრუნება

იჟევსკი, 28 მარტი (საქდესის სპეც. კორ. [illegible] ხაჩიკოვანიანი). [illegible] საკავშირო ჩემპიონატში [illegible] ნახევარფინალური ბრძოლები. შარშანდელი საკავშირო ასპარეზობის ექვსი გამარჯვებულიდან, რომლებიც ახლაც განაგრძობენ ჩემპიონობისთვის ბრძოლას, არის ერევნელი ს. დურიანიც (პირველი უმჩატესი წონა), რომელმაც დღეს მოუგო 38 წლის ვოლგოგრადელ ვეტერანს ვ. ივანოვს. საინტერესოა, რომ ოთხი თვის წინათ შარშანდელ საკავშირო ჩემპიონატში (ვილნიუსი) მათი მეოთხედფინალური შეხვედრა მინიმალური უპირატესობით მოიგო 24 წლის დურიანმა.

იმათ შორის, ვისაც უკვე უზრუნველყოფილი აქვს ჯილდო, არიან მიუნჰენის ოლიმპიადის ჩემპიონი, მოსკოველი ვ. ლემეშევი (ქვემძიმე წონა), რომელმაც აშკარა უპირატესობით უკვე პირველ რაუნდშივე მოუგო კიშინეველ ვ. დოლგოვს, აგრეთვე, მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი, ქვემსუბუქი წონის მოკრივე, ჩებოქსარელი ვ. სოკოლოვი, რომელმაც ქულებით დაამარცხა კუიბიშეველი ს. აბასოვი. ახლა სოკოლოვის მეტოქე იქნება ერევნელი ა. ავეტისიანი, რომელმაც შარშანდელი ჩემპიონატის ფინალში წააგო ოლიმპიელთან.

ამ წონითი კატეგორიის ერთ-ერთ წყვილში ერთმანეთს შეხვდებიან ოლიმპიური ჩემპიონი, ასტრახანელი ბ. კუზნეცოვი და ოსტატობის კანდიდატი ი. სტეპანოვი. სპორტის მოყვარულებს ალბათ ახსოვთ, რომ შარშან ზაფხულში კუზნეცოვმა გამოაცხადა, რინგს ვტოვებო.

თითქმის ნახევარი წელია არ მივარჯიშია, — გვიამბობს ბორისი, — და უკვე მასწავლებლობას ვაპირებდი, მაგრამ ვილნიუსში საკავშირო ჩემპიონატზე ყოფნისას დავრწმუნდი, როგორ გამიჭირდებოდა კრივთან განშორება, რომელსაც 13 წელი შევწირე. თან ნაკრების ბიჭები, „შრომითი რეზერვების" მწვრთნელები და ხელმძღვანელები (მე ამ საზოგადოებაში ვარ უკვე მრავალი წელია) მარწმუნებდნენ, რომ ადრე დავტოვე სპორტი. ამიტომ გადავწყვიტე. რისკი გამეწია და იანვარში ერევანში საზოგადოების ჩემპიონი გავხდი — მოვიგე ოთხივე ბრძოლა, მათგან სამი აშკარა უპირატესობით.

იჟევსკის სპორტის სასახლეში შეკრებილი მაყურებლები ოლიმპიელის იოლ გამარჯვებას ელოდნენ, მაგრამ დებიუტანტი სტეპანოვი თამამად უტევდა მრისხანე მეტოქეს და საკმაოდ უნარიანად „მუშაობდა" როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა ხელით.

კუზნეცოვი, როგორც ყოველთვის, ღია მანერით იბრძოდა. მოხერხებულად იცილებდა დარტყმას და ზუსტად ავითარებდა კონტრშეტევებს. მან ქულებით გაიმარჯვა და ახლა მინსკელ ვ. რატკევიჩს შეხვდება.

სტეპანოვიც ქების ღირსია. ჭაბუკი სულ 21 წლისაა, ექვსი წელია, რაც კრივს მისდევს, მისივე სიტყვით, „შემთხვევიდან შემთხვევამდე", ვინაიდან ბევრს შრომობს. იგი ტიუმენის ოლქის ქალაქ ნეფტეიუგანსკის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს ზეინკალია.

ბრძოლის შემდეგ, როცა იგორთან მივედით, რათა პირველი (მისი სიტყვებია) ინტერვიუ აგვეღო, იგი ისე დამაჯერებლად ვერ გრძნობდა თავს, როგორც რინგზე.

— ჩემი იდეალი კუზნეცოვია და თქვენთვის გასაგებია, როგორ ვღელავდი შეხვედრის წინ.

— ბრძოლის წინ როგორ ტაქტიკას ისახავდით მიზნად?

— რა დროს ტაქტიკაა, მთავარია არ შემინდე. როგორც შემდეგ მწვრთნელმა მითხრა, ეს ამოცანა შევასრულე.

### საკონტროლო მატჩები

შავი ზღვის სანაპიროზე გრძელდება ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების საკონტროლო მატჩები. მოგვყავს ზოგიერთი მათგანის შედეგი: „დინამო" (მოსკოვი) — ასკ (დონის როსტოვი) 1:1, „კარპატი" (ლვოვი) — „ზენიტი" (ლენინგრადი) 1:0, „ქაირათი" (ალმა-ათა) — „ტორპედო" (ქუთაისი) 3:0, „ხიმ-ტრუ" (კიშინიოვი) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 1:0, „ზარია" (ვოროშილოვგრადი) — ასკ (დონის როსტოვი) 3:1.

# მთავარი პრიზი დებიუტანტს ხვდა

ლატვიის დედაქალაქში მრავალრიცხოვანი მაყურებელი მიიზიდა სპორტის სასახლეში გამართულმა ტანმოვარჯიშეთა ტრადიციულმა საერთაშორისო ტურნირმა, რომელსაც წლეულს ასეთი სახელი ჰქონდა: „რიგა-74." შესანიშნავ წარმატებას მიაღწია 15 წლის მინსკელმა გოგონამ ლ. გორბიკმა, რომელიც პირველად ასპარეზობდა უფროსების მხარდამხარ. მრავალჭიდის ნებისმიერ პროგრამაში გორბიკმა 37,8 ქულა დააგროვა. შეჯიბრების უმაღლესი შეფასება — 9,55 ქულა ამ ქერამიანმა მოსწავლე გოგონამ მოხდენილად შესრულებული თავისუფალი ვარჯიშისთვის მიიღო. ზუსტად ასეთივე შეფასება დაიმსახურა, ოღონდ ძელზე, ჩიმკენტელმა მოსწავლემ ნ. კიმმა.

საბოლოოდ შეჯიბრების მთავარი პრიზი გორბიკს ხვდა. მას 0,05 ქულით ჩამორჩა II ადგილზე გასული კიმი. III საპრიზო ადგილი დაიკავა მინსკელმა ლ. სავინამ — 37,55.

მეორე დღეს, 28 მარტს, ტურნირში მოასპარეზე 18 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ცალკეულ იარაღებზე გაითამაშეს პრიზები და ფარდაც დაეშვა. ბრძოლა იმ დღესაც საინტერესო იყო. ვაჟთა მრავალჭიდში გამარჯვებულმა, გროზნოელმა სტუდენტმა ვ. მარჩენკომ საუკეთესო შედეგს მიაღწია თავისუფალ ვარჯიშში, ტაიჭზე კი პირველობა გაიყო ოლიმპიურ ჩემპიონთან ე. კენმოცუსთან. ამ იაპონელმა სპორტსმენმა ყველას აჯობა ორძელზე და გამარჯვება გაიყო ლერძზე ვარჯიშში თანამემამულე მ. ცუკაჰარასთან. რგოლებზე საუკეთესო იყო ვ. ზოიკო (სსრ კავშირი), ხოლო ბჯენით ხტომაში — ხ. კუერვო (კუბა).

ქალთა შეჯიბრებაში ორი უმაღლესი ჯილდო ერგო კიმს. მან მოიგო შეჯიბრებები ძელისა და ორძელზე. თავისუფალ ვარჯიშში გაიმარჯვა გორბიკმა, ბჯენით ხტომაში კი, ისევე როგორც გაზეთ „მოსკოუ ნიუსის" პრიზზე გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში, ბადალი არ ჰყავდა რუმინელ რ. საბუნს.

ჟამი ფიქრისა და განსჯისა

# ანალიზი დროულად უნდა გაკეთდეს

უკან დარჩა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის მორიგი ფინალური სპარტაკიადის თერთმეტდღიანი ბრძოლები. შედეგები შეჯამდა. ტურნირის მონაწილე რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების 51, სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების 27 ნაკრები კოლექტივი სატურნირო ცხრილებში მათი ძალისა და უნარის მიხედვით განაწილდა. დადგა ჟამი იმაზე ფიქრისა, თუ როგორ ჩატარდა სვერდლოვსკისა და ბაკურიანის შეჯიბრებები, რა გვიჩვენა ცალკეულ სახეობებში გამართულმა ტურნირებმა, და ჟამი იმის შესახებ განსჯისა, თუ რა უნდა გაკეთდეს სპორტის ამა თუ იმ სახეობაში გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორებისთვის.

წლევანდელი, რიგით III ზამთრის სპარტაკიადა საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის ისტორიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავია, რომლის საფუძვლიანი შესწავლა ხელს შეუწყობს სსრ კავშირში ზამთრის სპორტის შემდგომ აღმავლობასა და საერთაშორისო სარბიელზე ახალი მწვერვალების დაპყრობას.

სპარტაკიადის სარბიელზე 12 მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე, რსფსრ-ს ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები კოლექტივების 2500-ზე მეტი საუკეთესო სპორტსმენი გამოვიდა. მათ შორის უმეტესობას 16-25 წლის ასაკამდე მოთხილამურეები, მოციგავეები და მოციგურავეები შეადგენდნენ. ეს იმის საშუალებას იძლევა, რომ ახალგაზრდობის ამ არმიიდან მომავალი „თეთრი ოლიმპიადისთვის" ქვეყნის საკმაოდ ძლიერი ნაკრები კოლექტივი შედგეს.

სპარტაკიადამ ხელი შეუწყო სათხილამურო სპორტის განვითარებას იმ რესპუბლიკებში, რომლებშიც ეს სახეობა წინათ მეტად ჩამორჩებოდა. წლეულს სტარტზე ვიხილეთ ტაჯიკეთისა და უზბეკეთის სპორტსმენებიც. მართალია, ისინი მხოლოდ თითო-ოროლა სახეობაში გამოდიოდნენ, მაგრამ ისიც კარგია, რომ ამ რესპუბლიკებში რაღაც ნაბიჯები უკვე გადაიდგა.

სპარტაკიადისთვის მზადებამ ქვეყანა გაამდიდრა სპორტული ნაგებობებით. განმტკიცდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მარტო ბაკურიანში აშენდა ორი შესანიშნავი ტრამპლინი, საერთაშორისო სტანდარტის სწრაფდაშვების ტრასა, საბაგირო გზები, საციგაო ტრასა, სასტუმროები; რაუბიჩიში მწყობრში ჩადგა ბიატლონის ტრასა. ესენი მხოლოდ ნაწილია იმ სპორტნაგებობებისა, რაც სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში აშენდა.

I სპარტაკიადის შემდეგ ტრასებიც გართულდა და ტექნიკური შედეგებიც საკმაოდ ამაღლდა. თუ, მაგალითად, 1962 წელს ბაკურიანში ვაჟები გიგანტური სლალომის 1500-მეტრიან ტრასაზე თითოჯერ ეშვებოდნენ, ხოლო 1966 წელს II სპარტაკიადაში 2060-მეტრიან დისტანციაზე ასპარეზობდნენ, წლეულს ორი ცდით სპორტსმენებს 2305 მეტრი ჰქონდათ გასავლელი. I სპარტაკიადაში „მფრინავი მოთხილამურეები" 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, წლეულს უკვე 90-მეტრიანზეც ასპარეზობდნენ.

ბოლო 12 წლის მანძილზე სსრ კავშირში მოქალაქეობრიობა მოიპოვა საციგაო სპორტმა. მოეწყო ტრასები, ქვეყნის ნაკრების რამდენიმე წევრმა კი კონტინენტის ჩემპიონატში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეასრულა.

თუ 1962 წელს გამართულ ზამთრის I სპარტაკიადაში ტრამპლინიდან ხტომაში გამარჯვებული კ. წაქაძე 221,5 ქულას (ნახტომები—62,5 და 68,5 მ) დასჯერდა, ხოლო 1966 წელს ვ. ემელიანოვი (სვერდლოვსკი) — 224 ქულას (78,5 და 76 მ), მ. გავამ წლეულს ბაკურიანში გაცილებით მეტი — 225,9 ქულა (80 და 79,5 მ) დააგროვა.

ავიღოთ რამდენიმე მაგალითი რბოლებიდან. II სპარტაკიადაში ქალთა შორის 5 და 10 კილომეტრზე რბოლა სსრ კავშირის ნაკრების წევრმა, სვერდლოვსკელმა კ. ბოიარსკიხმა მოიგო — 18.46,0 და 40.31,0. წლეულს იმავე სვერდლოვსკში იჟევსკელმა გ. კულაკოვამ შესაბამისად 17.30,0 და 36.42,0 აჩვენა. 6 წლის წინათ 15 და 50 კილომეტრზე რბოლაში ვაჟთა შორის სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა ი. უტრობინი (მოსკოვის ოლქი) — 52.01,0 და 3:08.51. წლეულს ამ დისტანციებზე გამარჯვებულებმა ვ. როჩევმა (კომის ასსრ — 50.11,37) და ფ. სიმაშოვმა (მოსკოვი — 2:56.30,48), როგორც ხედავთ, გაცილებით უკეთეს შედეგებს მიაღწიეს. იმავე როჩევმა 30 კილომეტრზე რბენაში ახლა 1:40,01 აჩვენა, რაც წინა სპარტაკიადაში გამარჯვებულის ა. აკენტიევის (მოსკოვი) შედეგებზე 6 წუთითა და 22 წამით უკეთესია.

მაშ ასე: საბჭოთა სპორტში მნიშვნელოვანი ძვრა მოხდა, მაგრამ თუ იმასაც გავიხსენებთ, ფალუნისა და სანკტ-მორიცის წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატებში მორბენალი ვაჟები და სამთომოთხილამურეები, რომ ცუდად გამოვიდნენ, ცხადია, ამ სახეობების განვითარებისთვის მეტი ტემპია საჭირო.

ჩვენი მთავარი საზრუნავი მაინც საქართველოს სპორტსმენთა შედეგებია. წინასწარ ვიტყვით: რესპუბლიკაში სპორტის ზამთრის სახეობების განვითარებაში წინსვლა იგრძნობა, მაგრამ ეს არ კმარა. მართალია, I სპარტაკიადაში ორი ჩემპიონი (კ. წაქაძე და ი. ჯანგობეგოვი) გვყავდა, მეორეში — არც ერთი (თუ მხედველობაში არ მივიღებთ იუნიორთა შორის სამჭიდში გამარჯვებულ ბ. კახიანს), წლეულს კი ოქროს მედალი მარტო მ. გავამ მოიპოვა, მაგრამ მთლიანად რესპუბლიკის ნაკრები III სპარტაკიადისთვის გაცილებით უკეთ მომზადებული აღმოჩნდა. ეს განსაკუთრებით ტრამპლინიდან მხტომელებზე და სამთომოთხილამურეებზე ითქმის. საქართველოს სპორტული დელეგაციის მიერ სვერდლოვსკსა და ბაკურიანში მოგროვებული 356,5 ქულიდან ამ სახეობების წარმომადგენლებზე 256,5 ქულა მოდის. მ. გავას, კ. წაქაძის, გ. ჯიჩოევის მიმართ წლევანდელი სტარტებისთვის მადლობის მეტი რა გვეთქმის: მათ არც ერთხელ თავი არ დაუზოგავთ, არც ერთ შეჯიბრებაში ხელი არ მოსცარვიათ და ყველაზე მეტი „ნადავლიც" დააგროვეს.

წლეულს გუნდის წარმატებაში წვლილი შეიტანეს სამთომოთხილამურეებმა ი. ნასყიდაშვილმა, რ. აკოფოვმა, ა. სტეპანიანმა, ს. ნასყიდაშვილმა, ნ. ფალიანმა, თ. კოზანაშვილმა, ა. ნავერიანმა და ლ. ბანდურმა, მოციგავეებმა ვ. და თ. ქუმარიტაშვილებმა, გ. უგრელიძემ, ზ. გურეშიძემ, ე. გვარამაძემ და ზ. კოპაძემ. ფიგურულ ციგურაობაში მოასპარეზეებმა მ. ცერცვაძემ, ლ. გაბელაიამ, ქ. ცერცვაძემ, ქ. მაჭავარიანმა და ვ. თავაძემ. აი, ამ სპორტსმენთა მონდომების შედეგი იყო ის 356,5 ქულა, თუმცა საქართველოს დელეგაციაში 70-ზე მეტი წევრი გახლდათ.

ყველა სახეობაში გუნდები 4 უფროსი და 4 მოზარდი სპორტსმენით უნდა ყოფილიყო დაკომპლექტებული. სამწუხაროდ, ჩვენს რესპუბლიკაში ძლიერი სპორტსმენებით ვერც ერთი სახეობის გუნდი სრულად ვერ დაკომპლექტდა. სამთომოთხილამურე ქალთა კოლექტივს, მაგალითად, თავიდანვე 5 სპორტსმენი აკლდა. განსაკუთრებით სუსტად იყვნენ მომზადებული იუნიორები, აგრეთვე, ორჭიდელები და მორბენლები, ბიატლონში კი მთელ გუნდს ქუთაისელი ი. მაიოროვი შეადგენდა.

საქართველოს სპორტსმენებმა სათხილამურო რბოლებში, ორჭიდსა და ბიატლონში ქულაც კი ვერ მოიპოვეს, ტრამპლინიდან ხტომაში რვა მონაწილიდან ჩათვლა მხოლოდ ორმა მოგვცა. მოციგავეები და სამთომოთხილამურეებიც თავიანთ შესაძლებლობაზე სუსტად გამოვიდნენ.

სამთომოთხილამურეთა გუნდის ხელმძღვანელობას იუნიორების წარმატების იმედი ჰქონდა, მაგრამ ეს იმედიც პირველივე სტარტზე — სწრაფდაშვებაში შეჯიბრების დღეს გაქრა. გ. ლომინაძეც და ნ. ურუშაძეც ისე თავგამეტებით დაეშვნენ, რომ რთულ მონაკვეთზე თხილამურების დამორჩილება შეუძლებელი გახდა. მართალია, ლომინაძემ ტრასა მაინც დაამთავრა, მაგრამ გუნდს ვერაფერი არგო, ურუშაძე კი დაშავდა და სპარტაკიადას საერთოდ გამოეთიშა. მეტს ელოდნენ საქართველოს ჩემპიონის, ახალგაზრდა სპორტის ოსტატის ა. სტეპანიანისგან, მან კი თავისი შესაძლებლობა ვერ გამოავლინა. ეტყობა, სპარტაკიადისთვის მზადების დროს გადაიღალა, ან მის შედეგებზე გამოუცდელობამ მოახდინა გავლენა.

სამთომოთხილამურე ვაჟთა გუნდი ძლიერი სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული, მაგრამ მათი ვარჯიში სწრაფდაშვების ტრასის გაჭიანურებულმა მშენებლობამ შეაფერხა.

სპარტაკიადაში საქართველოს მოციგავეებიც სწორედ ამავე მიზეზით გამოვიდნენ უხეიროდ. როცა ისინი ტრასის მშენებლობაზე მუშაობდნენ, მათი კოლეგები—სხვა კოლექტივების წევრები ქვეყნის სხვადასხვა ტრასაზე ვარჯიშობდნენ და ტექნიკას სრულყოფდნენ.

ტრამპლინიდან ხტომაში ვაჟთა გუნდის წევრებს, მესტიელ სპორტის ოსტატს ბ. მჭედლიანსა და ბაკურიანელ სპორტის ოსტატობის კანდიდატს ა. გავას თავი არ დაუზოგავთ, მაგრამ გუნდს ვერც ერთ ტრამპლინზე შეჯიბრებაში ვერაფერი არგეს. რაც შეეხება იუნიორთა კვარტეტს, საქართველოს გუნდი ერთადერთი გახლდათ, რომელიც მეორეთანრიგოსნებით იყო დაკომპლექტებული. ამ ასპარეზობის ყველაზე უმცროსი მონაწილე ბაკურიანის „დინამოს" სკოლის აღსაზრდელი, 15 წლის ბ. ზანგიევი 70-მეტრიანი ტრამპლინიდან 63 და 65 მეტრზე გადახტა. მან ბევრ ძლიერ მეტოქეს აჯობა, მაგრამ საბოლოოდ მაინც შეუფასებელი დარჩა. სამაგიეროდ იუნიორთა შეჯიბრებამ დაგვანახვა, რომ ზანგიევის, კ. მიქაბერიძის, პ. და მ. მაკაევების სახით საუკეთესო „მფრინავი მოთხილამურეები" იზრდებიან. თუ მათ ამ სპარტაკიადისთვის სათანადოდ დაოსტატება ვერ მოასწრეს, ეს ბაკურიანში ბაზების უქონლობის ბრალი იყო. ახლა ეს ნაკლი გამოსწორებულია. წლეულს 40-მეტრიანი ტრამპლინიც აიგება, მერე კი 5-6 წელიწადში გვეყოლება სრულფასოვანი სპორტსმენებით დაკომპლექტებული გუნდი, რომლის ყველა წევრს გამარჯვებისთვის ბრძოლა შეეძლება.




სპარტაკიადაში ერთგვარი წარუმატებლობის მიუხედავად საციგაო სპორტში ვაჟთა შორის საგანგაშო მდგომარეობა არა გვაქვს. მაგრამ მხოლოდ ბაკურიანელი სპორტსმენებით შორს ვერ წავალთ. რესპუბლიკის სხვა მთიან რაიონებშიც მარტივი ტიპის საციგაოები მაინც უნდა მოეწყოს. რაც შეეხება ქალთა გუნდს, აქ აშკარად ჩამორჩით — მასპინძლებმა მთლიანი კოლექტივი კი არა, ერთი სპორტსმენიც ვერ გამოიყვანეს.

სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის წლევანდელ სპარტაკიადაში საქართველოს სპორტული დელეგაციის თეთრი ლაქა, როგორც აღვნიშნეთ, სათხილამურო რბოლები, ბიატლონი და ორჭიდი იყო. ამ სახეობებში ძლიერი სპორტსმენები არასოდეს გვყოლია, მაგრამ წინათ ორჭიდში პერსპექტივა მაინც იყო. კობას ძმამ, ჯუდუ წაქაძემ ამ სახეობაში სპორტის ოსტატის ნორმატივიც კი შეასრულა, მაგრამ მერე რესპუბლიკის ფიზკულტურის ხელმძღვანელ ორგანოებში გადაწყდა აქცენტი სამთოსათხილამურო სპორტის განვითარებაზე გადაეტანათ. რბენა ჩრდილში დარჩა: აღარც ბაკურიანში, აღარც სამხრეთ ოსეთში, აღარც სვანეთში, რაჭასა და სხვა მთიან მხარეებში ამ სახობას სათანადო ყურადღება აღარ ექცეოდა. სამხრეთ ოსეთში, რაჭასა და სვანეთში, ისევე როგორც სხვა მთიან რაიონებში (ბაკურიანის გარდა) დიდად არც ტრამპლინიდან ხტომისა და სამთოსათხილამურო სპორტის დანერგვა-განვითარებისთვის ზრუნავდნენ. ერთი საშუალო ზომის ტრამპლინი, ერთი დაშვების ტრასაც კი არსად აგებულა. ხელოვნურსაფარიანი ტრამპლინი კი, რომელიც თითქმის ათეული წელია ჩამოიტანეს, დღემდე დაუდგმელი და გამოუყენებელია.

სწორედ ორჭიდისადმი უზრუნველობის შედეგი გახლდათ, რომ სრული გუნდი ვერც ამ სახეობაში გამოვიყვანეთ. ვინც იასპარეზა, იმანაც ვერაფერი გვარგო. ვერც მეორეთანრიგოსანმა სარქის ხაჩატურიანმა, ვერც პირველთანრიგოსნებმა ყ. ლალიევმა და ბ. ქუმარიტაშვილმა (სამივე უფროსთა გუნდში გამოდიოდა), ვერც იუნიორებმა — მეორეთანრიგოსნებმა პ. ბაკაევმა და სიმონ ხაჩატურიანმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს — ორჭიდის ჯამში ბოლო ადგილები დაიკავეს.

ასეთივე ბედი ეწიათ მორბენლებს სვერდლოვსკში. მათ ერთი ქულაც კი ვერ მიიღეს, ვინაიდან ნაკრების ხელმძღვანელობამ თანაბარი სიძლიერის სპორტსმენებით კოლექტივის დაკომპლექტებაც კი ვერ შეძლო. ქალთა შეჯიბრებაში ნ. ბალაშვილს, ვაჟთა შეჯიბრებაში კი ლ. სოღოიანს, მხარი ვერავინ აუბა.

მაგალითისთვის 4×10 კილომეტრზე ვაჟთა ესტაფეტა ავიღოთ. საქართველოს კვარტეტმა 2:37.35 აჩვენა და XV ადგილი დაიკავა. ა. ნავერიანს (41.36), ვ. კოზანაშვილს (40.08), გ. მაკიევსა (38.47) და ლ. სოღოიანს (36.54) არცერთი ეტაპი არ მოუგიათ, მაგრამ ყველას სოღოიანივით რომ ერბინა, გუნდი X ადგილს დაიკავებდა და ჩასათვლელ ქულებსაც მიიღებდა.

მორბენალთა დაბალ შედეგებზე ერთგვარად გუნდის ზოგიერთი წევრის ავადმყოფობამაც იმოქმედა, მაგრამ მთავარი მაინც უდისციპლინობა იყო. ვაჟთა კოლექტივის რამდენიმე წევრი გუნდის ხელმძღვანელობის ყველა მითითებას არ ასრულებდა.

ჩვენი რესპუბლიკის დელეგაციის წარუმატებლობა იმანაც გამოიწვია, რომ ნაკრები სულ რამდენიმე რაიონის სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული. რა თქმა უნდა, ფიგურულ ციგურაობაში ნაკრების წევრები მხოლოდ თბილისელები იყვნენ, ვინაიდან საქართველოში საციგურაო სხვაგან არსად გაგვაჩნია. მოთხილამურეთა და მოციგავეთა მთავარ ბირთვს კი ბაკურიანის მკვიდრნი შეადგენდნენ. ნაკრებში სულ მესტიის რაიონში აღზრდილი ხუთი და ონის რაიონში აღზრდილი ერთი სპორტსმენი გამოდიოდა. საქართველოს დელეგაციის მიერ სპარტაკიადაში მოპოვებული 356,5 ქულიდან ბაკურიანში აღზრდილ სპორტსმენთა წილად 280 ქულა მოდის. დანარჩენი 76,5 ქულა კი თბილისელი ფიგურისტებისა და ორი მესტიელი მოთხილამურის დამსახურებაა.

საქართველოში ბევრგან შეიძლება ზამთრის სახეობათა განვითარება. აჭარის, სამხრეთ ოსეთის, მესტიის, ყაზბეგის, დუშეთის, ონის, ამბროლაურის, ლენტეხის რაიონებში მდიდარი შესაძლებლობები ჯერ კიდევ გამოუყენებელია.

ზამთრის სახეობებისადმი უყურადღებობა რესპუბლიკის სპორტსაზოგადოებათა საბჭოების უმეტესობასაც უნდა ვუსაყვედუროთ. საქართველოს ნაკრებში „ლოკომოტივისა" და „შრომითი რეზერვების" არც ერთი სპორტსმენი არ გამოდიოდა. „კოლმეურნემ" (სამთომოთხილამურე ს. ნასყიდაშვილი) 20 ქულა მოაგროვა, საქართველოს სპარტაკელთა წილად მოდის 46 ქულა, „ბურევესტნიკის" მოთხილამურეთა ანგარიშზეა — 47, ასკ-ს სპორტსმენებმა საერთო ყულაბაში 50,5 ქულა შეიტანეს, ხოლო „განთიადის" ფიგურისტებმა — 66. ყველას დინამოელებმა აჯობეს — 127 ქულა. არც არის გასაკვირი: ეს საზოგადოება ერთადერთია, რომელიც რესპუბლიკაში სათხილამურო სპორტის განვითარებისთვის კარგა ხანია იბრძვის, სამიოდე წლის წინათ კი ბაკურიანში სპეციალიზებული სპორტული სკოლაც გახსნა. ორიოდე წლის წინათ „დინამოს" მხარში ამოუდგა „სპარტაკის" საბჭო, რომელმაც სათხილამურო და საციგურაო სპორტზე ზრუნვას მოჰკიდა ხელი.

ყველა საზოგადოების საბჭოები „დინამოსავით" რომ მუშაობდნენ, მთიან რაიონებში სპორტულ სკოლებს თუ არა, ჯგუფებს მაინც რომ გახსნიდნენ, ხოლო ამ ჯგუფებს ინვენტარითა და კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფდნენ, საქმე ბევრად წინ წავიდოდა.

ერთი სიტყვით, სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის ფინალურმა ტურნირმა რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე ბევრი პრობლემა დააყენა, რომელთა დადებითად გადაჭრა დიდად შეუწყობს ხელს სათხილამურო და საციგაო სპორტის, აგრეთვე, ფიგურული ციგურაობის განვითარებას.

არ შეიძლება რამდენიმე სიტყვა არ ვთქვათ ბაკურიანში ასპარეზობის ორგანიზაციაზე. რესპუბლიკის მთავრობამ, ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა, ბორჯომის რაიონის მესვეურებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა სტუმრებს თავი კარგად ეგრძნოთ. სპორტსმენებს, მსაჯებს, ჟურნალისტებს, სპარტაკიადის მომსახურეთ მათ ყოველგვარი პირობები შეუქმნეს, რომ საუკეთესო შედეგები მოეპოვებინათ, მაჩვენებლები დროულად დაეჯამებინათ, ახალ-ახალი ცნობები მკითხველებისა თუ მსმენელებისთვის სწრაფად მიეწოდებინათ.

სტუმრები სპარტაკიადის ორგანიზაციითა და მასპინძლობით უაღრესად კმაყოფილი დარჩნენ. ამაში სათანადო დამსახურება მიუძღვით მედიცინისა და კვების მუშაკებს, წესრიგის დაცვის ორგანოებს, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს.

ალბათ სწორედ ასპარეზობის კარგი ორგანიზაციისა და ჩვენი სტუმართმოყვარეობის გამო იყო, რომ დაისვა საქართველოს „თეთრი მარგალიტის" ოლიმპიურ ცენტრად გადაქცევის საკითხი.

ო. გელაშვილი.

# შედეგები და დასკვნები

სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადა მნიშვნელოვან მოვლენად იქცა ქვეყნის სპორტულ ცხოვრებაში, რამდენადაც იგი საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის მიღწევათა დათვალიერება იყო. სპარტაკიადამ ხელი შეუწყო მშრომელთა და მოსწავლე ახალგაზრდობის ახალი ფენების ჩაბმას ფიზკულტურასა და სპორტში, მუშაობის კიდევ უფრო გაშლას მშდ კომპლექსის უფრო ფართოდ დასანერგად. ეს ითქვა 28 მარტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიის სხდომაზე, რომელმაც განვლილი ასპარეზობის შედეგებზე იმსჯელა.

სპარტაკიადის მასობრივი შეჯიბრებები უკვე 116 ათას ფიზკულტურულ კოლექტივში ჩატარდა დაახლოებით 20 მილიონი ადამიანის მონაწილეობით. მათგან თითქმის შვიდმა მილიონმა ჩააბარა მშდ კომპლექსის ნორმატივები, ხოლო ოთხ მილიონზე მეტი თანრიგოსანი გახდა. ეს სამჯერ მეტია, ვიდრე სსრ კავშირის ხალხთა წინა ზამთრის სპარტაკიადაში (1966 წ.).

ამჯერად ყველაზე მასობრივი აღმოჩნდა შეჯიბრებები სათხილამურო სპორტში (14 მილიონი მონაწილე) და ციგურაობაში (თითქმის 1,4 მილიონი).

სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში განმტკიცდა ზამთრის სპორტის მატერიალური ბაზა, აიგო ბევრი თანამედროვე სპორტული ნაგებობა. სპარტაკიადის მონაწილეთა განკარგულებაში იყო 7712 სათხილამურო ბაზა, 1167 საციგურაო ბილიკი, 50-მდე სპორტის სასახლე და დახურული ხელოვნური საციგურაო. მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ ტრასების რიცხვი, სადაც განათებაა მოწყობილი, აიგო ახალი საბაგირო გზები სამთომოთხილამურეებისთვის, გაფართოვდა თხილამურების წარმოება.

სპარტაკიადამ ცხოვრების საგზური მისცა მასობრივ შეჯიბრებათა ბევრ ახალ ფორმას.

სპარტაკიადის ფინალურმა შეჯიბრებებმა, რომლებიც სვერდლოვსკსა და ბაკურიანში ჩატარდა, გვიჩვენა მოწინავეთა ოსტატობის დონის ამაღლება, გამოავლინა ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი.

სპარტაკიადამ გამოავლინა ბევრი ნაკლოვანებაც მასობრიობასა და ოსტატობის ზრდაში. ეს ეხებათ უკრაინას, აგრეთვე, ბელორუსიას, ესტონეთს, ლიტვას, ამიერკავკასიის იმ რესპუბლიკებს, სადაც კარგი პირობებია ზამთრის სახეობათა განვითარებისთვის.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ყველა ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ ვერ ჩაატარა აუცილებელი ორგანიზატორული და პროპაგანდისტული მუშაობა ფიზკულტურის კოლექტივებში, პირველი და მეორე ეტაპების შეჯიბრებებს სათანადო კონტროლს ვერ უწევდა.

სპორტკომიტეტის კოლეგიამ მიზანშეწონილად მიიჩნია სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის სპარტაკიადების ჩატარება ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ. (საქინფორმი).

# ორხელისუფლებიანობა

უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მესამე წრის მატჩები მძაფრი და საინტერესოა. მოახლოებულმა ფინიშმა საგრძნობლად გამოაცოცხლა გუნდები სატურნირო ცხრილის ორივე ნახევარში. გაურკვეველი მდგომარეობაა ლიდერებში, ბუნდოვანია აუტსაიდერთა ბედიც.

ლენინგრადის „სპარტაკი“, რომელიც დიდხანს ოქროს მედლების მთავარ პრეტენდენტად ითვლებოდა, 25-ე ტურში დამარცხდა სვერდლოვსკის „ურალმაშთან“ და მოწინავე პოზიცია დაკარგა.

მანამდე კი „სპარტაკმა“ საკმაოდ იოლად მოუგო მოსკოვის „დინამოს“ — 75:60 (38:28). ქულა აიღო „ურალმაშმაც“, თუმცა მოსკოვის „სერპ ი მოლოტი“ საკმაოდ კერკეტი კაკალი გამოდგა — 81:73 (36:29).

„სპარტაკისა“ და „ურალმაშის“ შეხვედრის წინ მეტოქეებს ერთმანეთისგან ერთადერთი ქულა ჰყოფდათ. ნევასპირელებს წარმატება ამ შეხვედრაში ოქროს მედლების მოპოვების რეალურ შანსს უქმნიდა. მაგრამ დაახლოებით იგივე ამოცანა ჰქონდათ დასახული ურალელებს. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ბრძოლა უაღრესად მძაფრი გამოდგა.

ურალელებმა ტაიმი 3 ქულით (35:32) მოიგეს. ისინი ინიციატივას ფლობდნენ შეხვედრის მეორე ნახევარშიც და საბოლოოდ გაიმარჯვეს კიდეც — 74.67. ამ მატჩის ჭეშმარიტი გმირი იყო „ურალმაშის“ ცენტრალური თავდამსხმელი ლ. შვეცოვა, რომელმაც თავის კოლექტივს 24 ქულა შესძინა.

ამრიგად, 25 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში ორხელისუფლებიანობაა. „სპარტაკსაც“ და „ურალმაშსაც“ 20-20 ქულა აქვთ.

გთავაზობთ სხვა შეხვედრათა შედეგებს:

ფრუნზეს ჯგუფი. ტტტ (რიგა) — „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) 68:54 (28:29), „დინამო“ (კიევი) — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) 69:51 (27:19), „სტროიტელი“ (ფრუნზე) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 79:74 (40:35), „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) — „ბურევესტნიკი“ 74:69 (44:36), „დინამო“ — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 71:67 (36:33), ტტტ— „სტროიტელი“ 85:54 (37:28).

სვერდლოვსკის ჯგუფი. „უნივერსიტეტი“ (ალმა-ათა) — „კიბირკშტისი“ (ვილნიუსი) 58:59 (25:27), „უნივერსიტეტი“ — „სერპ ი მოლოტი“ 81:80 (43:43), „დინამო“ (მოსკოვი) — „კიბირკშტისი“ 70:67 (30:32).

# ჩემპიონი ვადამდე

ლენინგრადი, 28 მარტი. დღეს ადგილობრივმა სპორტის სასახლემ გულთბილი შეხვედრა მოუწყო სსრ კავშირის კალათბურთელთა 41-ე ჩემპიონატის მთავარ ლაურეატს — მოსკოვის ცსკა-ს, რომელმაც ტურნირის დამთავრებამდე ორი დღით ადრე მოიპოვა ჩემპიონობა. არმიელებმა 25 მატჩის შემდეგ 24 ქულა დააგროვეს. ამ შედეგს დარჩენილ ორ შეხვედრაში ვერც ერთი გუნდი ვერ გადააჭარბებს.

ვადამდე გაირკვა ვერცხლის პრიზიორის ვინაობაც. ლენინგრადის სპარტაკელებმა გუშინ შეუპოვარ ბრძოლაში დაამარცხეს მოსკოვის დინამოელები— 73:72 (45:36) და 20 ქულა დააგროვეს. გუშინ ცსკა-მ კაუნასის „ჟალგირისს“ სძლია — 98:73 (53:33).

დაძაბული იყო კიევის „სტროიტელისა“ და მინსკის რტი-ს შეხვედრა. უკრაინელებმა ტაიმი 10 ქულით (46:36) მოიგეს, მაგრამ შეხვედრის მეორე ნახევარში უპირატესობამ მინსკელთა მხარეს გადაინაცვლა. შეხვედრის ბედი გადაწყდა ბოლო წამზე: „სტროიტელმა“ ქულა აიღო — 84:83.

კიევის არმიელებმა პრინციპული ბრძოლა მოუგეს რიგის თანაკლუბელებს — 65:50 (32:19). ახლა უკრაინის გუნდს, ისევე როგორც რიგისა და მინსკის კოლექტივებს, 6 ქულა აქვს. აუტსაიდერის ვინაობა, როგორც ჩანს, ჩემპიონატის ბოლო ტურში გაირკვევა.

დაბოლოს, თბილისის „დინამოს“ და ტარტუს „კალევის“ ორთაბრძოლაზე. ესტონელებმა უკეთ ითამაშეს ორივე ტაიმში და გაიმარჯვეს ანგარიშით 84:75 (45:39).

დღეს მოსკოვის დინამოელებმა იოლად სძლიეს რიგის არმიელებს — 92:79 (53:37). მოულოდნელი შედეგით დამთავრდა კიევის „სტროიტელისა“ და ვერცხლის პრიზიორის, ადგილობრივი „სპარტაკის“ შეხვედრა. მასპინძლები ამ სეზონში ყველაზე ეწარედ დამარცხდნენ — 58:82 (21:42).

# უდანაკარგოდ არ გამოდის

მოსკოვში მიმდინარე პიონერთა სასახლეების მოჭადრაკეთა გუნდების საკავშირო შეჯიბრებაში უკვე სამი ტური გათამაშდა, მაგრამ ჯერ ვერც ერთმა დიდოსტატმა (ამ გუნდების კაპიტნებმა) ვერ შეძლო მოეგროვებინა ქულათა მაქსიმუმი (7). ერთდროული თამაშის ყოველ სეანსში, რომლებსაც დიდოსტატები უტარებენ ჯგუფებს (თითოეულში ექვსი ჭაბუკი და ერთი გოგონა შედის) მათი დანაკარგი ზოგჯერ ქულის „ღირებულებისაა“.

ყველაზე დიდი „ზარალი“ განიცადა პირველ ორ ტურში ჩერნოვცელი ბავშვების კაპიტანმა გ. კუზმინმა, რომელმაც 14 შეხვედრაში 5,5 ქულა დაკარგა (შვიდი ყაიმი და ორი წაგება მოსკოვისა და ლენინგრადის „მრისხანე“ ნორჩ მოჭადრაკეებთან). III ტურში კუზმინმა „შური იძია“ ჩელიაბინსკელებთან სეანსში, რომელშიც 6,5 ქულა მოაგროვა, ერთადერთ ყაიმს მეცხრეკლასელმა პირველთანრიგოსანმა ო. ნოვიცკიმ მიაღწია. დიდოსტატი ისე იყო მონდომებული, რომ არა მარტო გაიმეორა რიგელთა კაპიტნის მ. ტალის რეკორდი, რომელმაც ანგარიშით 6,5:0,5 დაამარცხა მოსკოველი მოჭადრაკეები, არამედ მასზე ადრეც დაამთავრა თამაში.

ჩელიაბინსკელი კაპიტანი ლ. პოლუგაევსკი, რომელიც კუზმინის გუნდის წევრებს ხვდებოდა, 5 ქულით დაკმაყოფილდა: ოთხი პარტია მოიგო, ორში ყაიმს დასჯერდა, მეშვიდე კი წააგო. მას მოუგო ოსტატობის კანდიდატმა, მეათეკლასელმა მ. რაბინოვიჩმა, რომელმაც მანამდე გაიმარჯვა მ. ტაიმანოვთან და ყაიმს მიაღწია ი. ავერბახთან. ახლა ამ ჭაბუკს თანატოლთა შორის საუკეთესო შედეგი აქვს — 2,5 ქულა 3-დან!

ჩერნოვცი-ჩელიაბინსკის მატჩის საერთო შედეგია (დიდოსტატისა და მისი გუნდის შედეგების მიმატების შემდეგ) — 8,5:5,5.

პირველი მარცხი იწვნია საერთაშორისო ოსტატმა ვ. ბაგიროვმა, ბაქოელთა კაპიტანმა. მოსკოველ პიონერებთან შეხვედრაში მან წააგო 14 წლის პირველთანრიგოსან ა. იუსუპოვთან. თავის მხრივ 11 წლის ბაქოელმა ჰ. ვაინშტეინმა პირველი პარტია მოუგო მოსკოველთა კაპიტანს ავერბახს.

ამრიგად, საინტერესო და სასარგებლო ტურნირის მონაწილეებმა დისტანციის ნახევარი განვლეს.

ვ. ბაბკინი.
(საკდესის კორ.).

მოსკოვი.

# დაწინაურდა გამრეკელი

თბილისში, ჭადრაკის სასახლეში, მიმდინარეობს „დინამოს“ მოჭადრაკე ვაჟთა რესპუბლიკური პირველობა. ტურნირში მონაწილეობენ: ოსტატი ა. ტუზოვსკი (სოხუმი), ოსტატობის კანდიდატები გ. გამრეკელი, ვ. დავითაშვილი, ვ. პაპიაშვილი, ვ. ურიდია, ვ. სემიონოვი, მ. ძნელაძე, რ. კარტაშიანი (ყველა — თბილისი), ვ. მარტიროსიანი (სოხუმი), ლ. ხეუროსოვი (ბათუმი), პირველთანრიგოსნები ი. გოგეშვილი და ა. დგებუაძე. უკონკურსოდ თამაშობს ოსტატი ციური კობაიძე.

სტარტი სიურპრიზით აღინიშნა: კობაიძემ მოუგო ტუზოვსკის. მოჭადრაკე ქალი ლიდერობდა გამრეკელთან ერთად. V ტურში დაწინაურებულნი ერთმანეთს შეხვდნენ, გაიმარჯვა გამრეკელმა და ერთპიროვნული ლიდერობაც ხელთ იგდო. მერე მან ურიდიასაც სძლია.

6 ტურის შემდეგ გამრეკელს 5 ქულა აქვს, ძნელაძეს — 3,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, სემიონოვს — 3,5 (5-დან), ძნელაძეს — 3,5.

თ. ნინოშვილი.

● ბელორეცკი, 28 მარტი. აქ დამთავრდა საკავშირო პროფსაბჭოს მოზარდ სამთომოთხილამურეთა პირველობა, რომელშიც 1960-64 წლებში დაბადებული ბიჭები და გოგონები მონაწილეობდნენ. გოგონათა სპეციალურ სლალომში იმარჯვა მასპინძელმა ნ. ლიხორადოვამ („სპარტაკი“) — 1.35,39. გიგანტური სლალომი მოიგო მისმა თანაგუნდელმა ლ. რეუსომ — 1.04, 79. აქ ლიხორადოვა მეორე იყო და ორჭიდის ჯამში გამარჯვებაც მას დარჩა. ბიჭებში როგორც სპეციალური, ისე გიგანტური სლალომი მოიგო მეჟდურეჩენსკელმა ვ. პესტოვმა („ბურევესტნიკი“) — 1.19,25 და 1.03,68. რა თქმა უნდა, ორჭიდში პირველობაც მას ხვდა წილად.

# ნაშრომი დაუფასდა

ვინც ქართულ საჭადრაკო ლიტერატურას ადევნებს თვალს, იგი არ შეიძლება არ იცნობდეს გიორგი მახარაძის წიგნებს „ჭადრაკი და გამოჩენილი ადამიანები“ (გამოიცა 1960 წ.) და „ჭადრაკის ქალღმერთი იღიმება“ (1970 წ.). მათი ავტორი არ არის პროფესიული მოჭადრაკე და ჟურნალისტი, მაგრამ გულით უყვარს ბრძენთა თამაში და კალამიც უჭრის.

ჟორა, როგორც მეგობრები ვეძახით, ჭადრაკს ლანჩხუთში გაეცნო. თამაშის სიბრძნით მოხიბლული, სტუდენტობის წლებში მუყაითი მეცადინეობით პირველთანრიგოსანიც გახდა. რაოდენ საამაყო იყო მისთვის, როცა 1947-1948 წლებში გაზეთმა „ახალგაზრდა კომუნისტმა“ ჭადრაკის განყოფილების ხელმძღვანელობა მიანდო. ამ განყოფილებაში ბევრი საინტერესო პარტია, წერილი და ამბავი დაიბეჭდა.

უნდა ითქვას, რომ გ. მახარაძე არც სპორტის სხვა სახეობებისადმი იყო გულგრილი. ომის შემდგომ წლებში იგი გაზეთ „კომუნისტში“ წერს ფეხბურთში საკავშირო პირველობის მატჩებზე, „ახალგაზრდა კომუნისტში“ კალათბურთელთა, მოჭიდავეთა, ფრენბურთელთა და, რა თქმა უნდა, ფეხბურთელთა ასპარეზობაზე. ამ წერილებს ქართული სპორტის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით დღესაც არ დაუკარგავს ღირებულება.

ცხოვრების სარბიელზე გამოსვლისთანავე გ. მახარაძეს ბევრ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მოუხდა მუშაობა. ახალგაზრდული გატაცებისთვის თითქმის დრო არ რჩებოდა, მაგრამ გული ვერ ისვენებდა.

ვისაც თუნდაც ერთი წიგნი დაუწერია, იცის, რა ძნელია ამ საქმესთან შეჭიდება. გ. მახარაძე თავის წიგნებს ათ-ათ წელიწადს წერდა. დიდი მოთმინებით და რუდუნებით აგროვებდა მასალებს.

„ჭადრაკი და გამოჩენილი ადამიანები“ რომ დაეწერა, იგი ღრმად გაეცნო კ. მარქსისა და ვ. ლენინის, აგრეთვე, ა. პუშკინის, ლ. ტოლსტოის, დ. მენდელეევის, ი. ტურგენევის, ვ. მაიაკოვსკისა და სხვა გამოჩენილი მოღვაწეების ცხოვრებას, მათს შეხედულებებს ჭადრაკზე. ამიტომაც გამოუვიდა ნაშრომი ესოდენ საინტერესო და მიმზიდველი.

ასეთივე დიდი ჯაფა და საქმისადმი სიყვარული დასჭირდა მას, რათა დაეწერა „ჭადრაკის ქალღმერთი იღიმება“. დიდ მოჭადრაკეთა ცხოვრება და შემოქმედება აღსავსეა ფათერაკებით, საინტერესო შემთხვევებით, კურიოზებით. ყოველივე ეს მიმოფანტულია საჭადრაკო ლიტერატურაში, ასეულ ტომებში. ამიტომაც გ. მახარაძეს თითქმის ათი წელი დასჭირდა ამ არც ისე სქელტანიანი წიგნის დასაწერად. სამაგიეროდ, შრომა დაუფასდა: წიგნმა მოხიბლა ჭადრაკის მოყვარულნი.

ჭადრაკის ტრფიალი ახალ წიგნებზე ოცნებობს. მართალია, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გამასწორებელ დაწესებულებათა სამმართველოს უფროსს, შინაგანი სამსახურის ინჟინერ-პოლკოვნიკს ამისთვის დრო ცოტა რჩება, მაგრამ, როგორც ვიცით, ეს ცოტაც კმარა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ გ. მახარაძის ახალი წიგნი ვიხილოთ.

გ. მახარაძე მუდამ და ყველგან სპორტის განვითარების ხელშემწყობი იყო, მისი სიკეთის დაუღალავი მქადაგებელი, ქართველ სპორტსმენთა წარმატებების მეხოტბე. შემთხვევითი როდია, რომ მან თავისი მეორე ნაშრომი ჭადრაკის დედოფალს ნ. გაფრინდაშვილს მიუძღვნა.

ნაამაგარი დაუფასდა გ. მახარაძეს, როცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

ვუსურვოთ ჯანმრთელობა და ახალი შემოქმედებითი მიღწევები ჭადრაკის ქომაგს.

თ. გიორგაძე.

# ლენინგრადელი ნორჩების საპასუხო ვიზიტი

მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგების დღეებში თბილისის ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში მოეწყო მასპინძელი ქალაქისა და ლენინგრადის სკოლების გუნდების მატჩი მხატვრულ ტანვარჯიშში. ეს იყო ლენინგრადელ სპორტსმენთა საპასუხო ვიზიტი თბილისში. იანვარში ჩვენი გოგონები იყვნენ მათთან და გამარჯვებაც მოიპოვეს.

ლენინგრადის გუნდში იყო რამდენიმე ძლიერი ტანმოვარჯიშე, ქალაქის მოზარდთა ნაკრების რამდენიმე წევრი, მასპინძელთა კოლექტივი კი დაკომპლექტდა უმთავრესად მწვრთნელ მ. ანდრონიკაშვილის მოწაფეებით (ისინი თბილისის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლაში სწავლობენ).

წარსულში ცნობილმა სპორტსმენმა მ. ანდრონიკაშვილმა სამი წლის წინათ მოუყარა თავი გოგონათა ჯგუფს, ძირითადად თბილისის 109-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებს, და მათთან მუშაობა დაიწყო. ამ მოკლე ხნის მანძილზე მწვრთნელმა რამდენიმე პირველთანრიგოსანი აღზარდა, ხოლო სამი მისი მოწაფე უკვე ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით გამოდის.

და აი, ახლა ანდრონიკაშვილის მოწაფეები შეხვდნენ ლენინგრადელთა გუნდს, რომლის წევრები მათზე ასაკითაც უფროსები იყვნენ და სპორტული სტაჟიც მეტი ჰქონდათ. თბილისელები გამოდიოდნენ მხოლოდ პირველი თანრიგისა და ოსტატობის კანდიდატობის პროგრამით, სტუმრები— ოსტატთა პროგრამითაც.

პირველთანრიგოსნებში გამოირჩეოდა თბილისელი მოსწავლე ი. საკაშვილი. მან ყველას აჯობა როგორც სავალდებულო, ისე ნებისმიერი პროგრამით ასპარეზობაში და 46,3 ქულა დააგროვა. მისმა მეტყველმა, პლასტიკურმა ვარჯიშებმა სალტითა და ბურთით ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა — 9,2 ქულა. II ადგილზეა მ. კალმახელიძე (45,4). III-IV ადგილები გაიყვეს ტ. დოლგოვამ (თბილისი) და ნ. კაზარიცკაიამ (ლენინგრადი) — 45,1-45,1.

უსაგნოდ ვარჯიშში ბადალი არ ჰყავდა დოლგოვას, რომელმაც მატჩის უმაღლესი შეფასება მიიღო — 9,65 ქულა.

ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით მოასპარეზეთა შორის I ადგილი დაიკავა ლენინგრადელმა ი. დოილნიცინამ — 43,4. შემდეგ საპრიზო ადგილებზე არიან თბილისელი ტანმოვარჯიშეები ი. სერგიენკო (42,65) და ნ. გამთენაძე (41,4).

სპორტის ოსტატებში ყველას აჯობა ლ. ტრონოვამ — 45,85. მომდევნო საპრიზო ადგილები დაიკავეს ლ. კოზლოვამ (45,35) და ლ. კოროლიოვამ (სამივე — ლენინგრადი) — 45.

გუნდური შედეგები ასეთია: თბილისი — 224,25 ქულა, ლენინგრადი — 222,05.

ზ. ქვათაძე.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მატჩში გამარჯვებულნი ი. საკაშვილი და ლ. ტრონოვა.

ავტორის ფოტოები.





## თბილისი

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლის პ. კობახიძის სახელობის საჭადრაკო კლუბის თაოსნობით ამას წინათ მოეწყო ამხანაგური მატჩი საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტისა და კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მოჭადრაკეთა გუნდებს შორის. შეხვედრა პირველად დასახელებულმა გუნდმა მოიგო — 6:1.

ი. თოდრია.

ელექტრონული ბიბლიოთეკა




# ფინალისტთა საქმეები

● მსოფლიო ჩემპიონატის მომავალი ფინალური გათამაშების მონაწილენი ინტენსიურად ემზადებიან. ამ დღეებში გაიმართა რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრა, რომლებშიც ფინალისტები ცდიდნენ ძალებს.

მაინის ფრანკფურტი. ევროპის ჩემპიონმა — გფრ-ის ნაკრებმა აქ მიიღო შოტლანდიის გუნდი. მასპინძლებს საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ პირველ ტაიმში და მოიგეს კიდეც იგი — 2:0. ანგარიში 11-მეტრიანი დარტყმით გახსნა ბრაიტნერმა 33-ე წუთზე, 2 წუთის შემდეგ კი გრაბოვსკიმ მეორედ აიძულა მეტოქე ცენტრიდან დაეწყო თამაში.

შესვენების შემდეგ შოტლანდიელები გაცილებით უკეთ თამაშობდნენ, თუმცა შეძლეს მხოლოდ ერთი ბურთის გაქვითვა (დალგლიში, 78-ე წუთი). გაიმარჯვეს დასავლეთგერმანელებმა — 2:1.

დრეზდენი. გდრ-ისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდების შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა, რომელიც მე-13 წუთზე თავით გაიტანა გერმანელმა შტრაიხმა — 1:0.

როტერდამი. ფრედ — 1:1 — ითამაშეს ჰოლანდიისა და ავსტრიის გუნდებმა. ჰოლანდიელთა რიგებში თამაშობდა კრუიფი, ევროპის შარშანდელი № 1 ფეხბურთელი, რომელიც საამისოდ სპეციალურად გამოუშვეს ესპანეთის „ბარსელონიდან". აქ დაწინაურდნენ ავსტრიელები (კრანკლი, 37-ე წუთი), მასპინძლებმა კი მხოლოდ ის შეძლეს, რომ თავი დააღწიეს წაგებას. გოლი 45-ე წუთზე გაიტანა კროლმა.

ვარშავა. პოლონეთის ნაკრების სპარინგ-პარტნიორი იყო გფრ-ის საკლუბო გუნდი — დიუსელდორფის „ფორტუნა". პოლონელებმა ანგარიში გახსნეს 41-ე წუთზე (შარმახი) და შემდგომშიც ჰქონდათ საერთო უპირატესობა, მაგრამ მათი წარმატება ამით ამოიწურა. 73-ე წუთზე ზუდემ ანგარიში გაათანაბრა — 1:1.

● იუგოსლავიის ფეხბურთის წარმომადგენლები მ. ჩორიჩი და ბ. ეშოვიჩი სპეციალურად მიავლინეს მაინის ფრანკფურტში, რათა შეისწავლონ პირობები, რომლებშიც იუგოსლაველ ფეხბურთელებს მოუხდებათ ცხოვრება მსოფლიო ჩემპიონატის პირველ ორ მატჩში. სასტუმროს შერჩევისას მათ უნდა გაითვალისწინონ უმცირესი დეტალებიც კი.

● გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების გულშემატკივრები განზილებული არიან თავიანთი ფეხბურთელების თამაშით (ესპანეთთან — 0:1, იტალიასთან — 0:0). მიმომხილველები განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ სუსტია გუნდის შუა ხაზი.

საინტერესოა გფრ—იტალიის მატჩზე დამსწრე იუგოსლაველთა მწვრთნელის მ. მილიანიჩის სიტყვები: „ჩემმა გუნდმა ასე რომ ითამაშოს, მაყურებელი ქვებს დაგვიშენს".

● ●

• KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABДARUGAS •

## ასე დაწყვილდნენ

10 და 24 აპრილს გაიმართება ევროპის საკლუბო ტურნირების ნახევარფინალური შეხვედრები. ამას წინათ შედგა ამ ტურნირების კენჭისყრა. გუნდები ასე დაწყვილდნენ:

### ჩემპიონთა თასი

„უიპეშტ დოჟა" (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — „ბაიერნი" (მიუნხენი, გფრ);
„სელტიკი" (გლაზგო, შოტლანდია) — „ატლეტიკო" (მადრიდი, ესპანეთი).

### თასების მფლობელთა თასი

„სპორტინგი" (ლისაბონი, პორტუგალია) — „მაგდებურგი" (გდრ);
„მილანი" (იტალია) — „ბორუსია" (მენხენგლადბახი, გფრ).

### უეფა-ს თასი

„ფეიენოორდი" (როტერდამი, ჰოლანდია) — „შტუტგარტი" (გფრ);
„ლოკომოტივი" (ლაიპციგი, გდრ) — „ტოტენჰემ ჰოტსპური" (ლონდონი, ინგლისი).

შენიშვნა: პირველი შეხვედრები იმ გუნდების მინდორზე გაიმართება, რომლებიც პირველად არიან დასახელებული.

(საქ. ინფ.).

## 1007 წუთი!

ეს მართლაც შეუდარებელი მიღწევაა: ამ ხნის განმავლობაში იტალიის ნაკრების მეკარეს დ. ძოფს, რომელიც წელიწად-ნახევარზე მეტია უცვლელად თამაშობს „სკუადრა აძურას" შემადგენლობაში, არ გაუშვია გოლი, თუმცა მის მეტოქეთა შორის იყვნენ მსოფლიო ჩემპიონები — ბრაზილიელები, ინგლისელები, გფრ-ის ფეხბურთელები, შვედები. ამიტომაც იტალიელები უკმაყოფილონი დარჩნენ, როცა დეკემბერში „ფრანს ფუტბოლის" ტრადიციულ კონკურსში ძოფს მხოლოდ II ადგილი ხვდა კრუიფის შემდეგ.

ძოფი წინა მსოფლიო ჩემპიონატის დროს ნაკრების სათადარიგო მეკარე იყო, მაშინ მასზე მაღლა ალბერტოზის აყენებდნენ. ახლა ალბერტოზი მეორე პლანზე გადავიდა, თუმცა ისიც ემზადება მსოფლიო პირველობისთვის.

## უსიამოვნება... ღვინის გამო

გამოჩენილი რუმინელი სპეციალისტი, ამსტერდამის „აიაქსის" ყოფილი ხელმძღვანელი შ. კოვაჩი საფრანგეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა და მოთამაშეებმაც იგი კარგად მიიღეს. კოვაჩმა გადაახალისა ნაკრები და ფედერაციის ხელმძღვანელობას დაჰპირდა, ევროპის პირველობაში კარგ შედეგს მივაღწევო.

მაგრამ კოვაჩსა და ფეხბურთელებს შორის მაინც მოხდა უსიამოვნება. როცა ფეხბურთელები სადილად მოვიდნენ, სუფრაზე ვერ ნახეს თითო ბოთლი მსუბუქი ღვინო, რომელსაც ჩვეულებრივ სვამდნენ ხოლმე.

— ღვინო რატომ არ მოიტანეთ? — ჰკითხეს მათ ოფიციანტებს.

— კოვაჩმა აკრძალა.

— როგორ თუ აკრძალა!

და ნაკრების მოთამაშეები წაეჩხუბნენ მწვრთნელს. კოვაჩი თავისას არ იშლის და ამბობს:

— ცოტაოდენი ღვინო შესაძლოა სისხლის მიმოქცევას მართლაც ხელს უწყობს და ამდენად სასარგებლოა კიდეც, მაგრამ ვინ დამარწმუნებს, რომ იგი ხელს უწყობს მინდორზე აზროვნებას?

## „დიდი ტომი" ბრალდებულის სკამზე

ინგლისის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ტომი ლაუტონი, რომელიც მრავალ წელიწადს ხეტიალისა და გაჭირვების შემდეგ საბოლოოდ ულუკმაპუროდ დარჩა, ბრალდებულის სკამზე აღმოჩნდა. იმის გამო, რომ გადასახადი ვერ დაფარა, მას სამი თვით პატიმრობა მიუსაჯეს. მართალია, ლაუტონს სამი კვირა მისცეს, რათა სცადოს საჭირო თანხის შეგროვება და თავი გადაირჩინოს.

ეს „შეღავათი" მოსამართლემ ლაუტონს მისცა ბრიტანეთის სპორტის წინაშე მისი დიდი დამსახურების გამო. რა ტიტულებით არ აჯილდოებდა პრესა ამ ცნობილ ფეხბურთელს. ლაუტონი იყო „სასწაულმოქმედი თავდამსხმელი", „ინგლისური სპორტის მეფე", „დიდი ტომი". ათეული წლების მანძილზე გამოდიოდა ლაუტონი მწვანე მინდვრებზე და მაყურებელს ხიბლავდა ფილიგრანული ტექნიკით, უდიდესი სისწრაფით, უძლავრესი დარტყმით. მას 400-ზე მეტი გოლი აქვს გატანილი მეტოქეთა კარში. ლაუტონმა 23 მატჩი ითამაშა ინგლისის ნაკრებში, იყო ამ გუნდის კაპიტანი.

მაგრამ მერე ცნობილმა ოსტატმა სარბიელი დატოვა და ფეხბურთმა ზურგი შეაქცია მას. ლაუტონმა ვერც ერთ სპორტულ კლუბში ვეღარ იპოვა ადგილი. სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა ბევრი პროფესია შეიცვალა, მუშაობდა ქუჩების დამსუფთავებელ კონტორაში, აგენტით მოვაჭრე ფირმაში. ცხოვრება თანდათან გაუჭირდა. ერთხელ გულის მწვავე შეტევით საავადმყოფოშიც აღმოჩნდა, ხოლო როცა იქიდან გამოვიდა, რაიმე სამსახურის შოვნაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო: ვის რაში სჭირდებოდა 54 წლის ავადმყოფი კაცი? მალე ლაუტონს ბინაში არც ერთი სპორტული ჯილდო აღარ დარჩა: ცნობილმა ფეხბურთელმა ყველა გაყიდა.

— ბოლო თვეებში ისეთ სასოწარკვეთილებამდე მივედი, გადავწყვიტე, თავს მოვიკლავ-მეთქი, —უთხრა ლაუტონმა ჟურნალისტებს. — ღამით თვალს ვერ ვხუჭავ, თავს ვიმტვრევ, ვფიქრობ, აღარ ვიცი, ფული სად ვიშოვო. ხანდახან ვიტყვი, ტემზაში გადავვარდები და ის იქნება-მეთქი, მაგრამ გამახსენდება ცოლი, შვილები და ვცდილობ ეს ფიქრი თავიდან მოვიშორო. ქუჩაში ხელგაშვერილი კი ვერ ვივლი — სიამაყე არ მაძლევს უფლებას. ტომი ლაუტონი და მათხოვარი?

სასამართლოზე ლაუტონმა თქვა, ჩემს ვალს — 74 გირვანქა სტერლინგს ვერ გადავიხდიო. „დიდ ტომის", რომელიც თავის დროზე უდიდეს შემოსავალს აძლევდა მენეჯერებს, ახლა ეს პატარა თანხაც ვეღარსად უშოვია. მდიდართა კლუბებს კი, რომლებიც ერთ დროს ლაუტონისთვის რას არ გაიღებდნენ, ახლა აზრადაც არ მოსდით მისი გადარჩენა. დასავლეთში „ექს-ვარსკვლავი" არავის აინტერესებს.

მ. ოზეროვი.
(საკდესის კორ.)

ლონდონი.

## ნოკაუტების რეკორდსმენი

ჯორჯ ფორმენი, მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის, ყველა დროის რეკორდსმენი ყოფილა ნოკაუტებით.

ნიუ იორკის ჟურნალ „რინგ მეგეზინის" ფურცლებზე გამოქვეყნდა ცნობა, რომ ფორმენმა 39 ბრძოლიდან 36 ნოკაუტით მოიგო. II ადგილზეა რ. მარჩიანო — 43 ნოკაუტი 49 შეხვედრაში, III—ჯო ფრეზიერი (31—25).

* * *

ფორმენის ზემოაღნიშნულ სტატისტიკას ორი ახალი ციფრი დაემატა: 40 ბრძოლა, 37 ნოკაუტი. ეს მოხდა 26 მარტს ვენესუელის დედაქალაქ კარაკასის სტადიონ „პოლეიდროს" რინგზე, როცა ფორმენმა სულ რაღაც ხუთ წუთში აჯობა ანდერძი ამერიკელ კენ ნორტონს.

ფორმენმა იოლად დაიცვა მსოფლიო ჩემპიონის წოდება: რამდენიმე ნოკდაუნის შემდეგ მსაჯმა მეორე რაუნდში ჩემპიონის აშკარა უპირატესობის გამო ბრძოლა შეწყვიტა. ამრიგად ტექნიკური ნოკაუტით გაიმარჯვა ფორმენმა.

მიმომხილველები აღნიშნავენ ფორმენის უდიდეს უპირატესობას ფიზიკურ ძალასა და დარტყმების სიძლიერეში.

ახლა მოსალოდნელია მსოფლიო ჩემპიონის შეხვედრა მეორე ცნობილ ამერიკელ ვარსკვლავთან მუჰამედ ალისთან. ეს ორთაბრძოლა, როგორც ჩანს, რამდენიმე თვის შემდეგ გაიმართება აფრიკის რომელიმე ქალაქში.

## ინტერვიუ უინტერესო გამოდგა

ამ დღეებში დასავლეთგერმანელი ჟურნალისტები შეხვდნენ გფრ-ის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელს ჰ. შიონს. ინტერვიუ უინტერესო გამოდგა, ვინაიდან მწვრთნელმა კონკრეტულ პასუხებს თავი აარიდა.

შეკითხვაზე, თუ ვინ გახდება მსოფლიოს ჩემპიონი მიუნხენში, შიონმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა და დაასახელა, სულ ცოტა, 10 გუნდი, რომლებსაც, მისი აზრით, დიდი შანსი აქვთ უმაღლესი საფეხბურთო ტიტულისთვის ბრძოლისა.

სიტყვა ჩამოვარდა ჩემპიონატის ორგანიზაციაზე. გამოირკვა, რომ მიუნხენის ხელისუფლება სერიოზულად შეშფოთებულია დასავლეთ გერმანიის ექსტრემისტული წრეების განცხადებით, რომ ჩემპიონატის მსვლელობისას მოსალოდნელია ფეხბურთის ვარსკვლავთა გატაცება. რამდენად ანგარიშგასაწევია ეს განცხადებები, ძნელი სათქმელია, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ჩემპიონატის ორგანიზატორებმა უკვე აქედანვე დაკარგეს სიმშვიდე.

შიონმა ვერ დაასახელა თავისი გუნდის მთლიანი შემადგენლობაც. 18 ფეხბურთელის ნაცვლად მან ჟურნალისტებს 10 კაცის სია გადასცა. დანარჩენ 8 ფეხბურთელს მწვრთნელი ერთ კვირაში დაასახელებს. მაგრამ ჟურნალისტები იმითაც კმაყოფილი არიან, რომ ნაკრების მთავარ კანდიდატთა შორის მწვრთნელმა პირველ ყოვლისა ახსენა ბეკენბაუერი, მიულერი, გრაბოვსკი და ნეცერი.

(საქ. ინფ.).


ელექტრონული ბიბლიოთეკა

ნორჩი ჩემპიონი.
ფ. ზარგარიანის ფოტო.



## სათხილამურო სპორტი

რომი. იტალიის ალპებში გაიმართა ჟურნალისტთა საერთაშორისო შეჯიბრება სამთოსათხილამურო სპორტში. როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის იმარჯვეს შვეიცარიელებმა ა. ნუსლემ და მ. ქაკოტმა.

ასპენი (აშშ). სამთომოთხილამურეთა მსოფლიო თასის გათამაშების შემდეგ სპორტსმენებმა ასპენს მიაშურეს და დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში იასპარეზეს. ქალთა სპეციალური სლალომი მოიგო ავსტრიელმა ა. პრიოლ-მოზერმა. II ადგილზე გავიდა რ. მიტერმაიერი, III—კ. ცეჰმაისტერი (ორივე — გფრ). ვაჟთა შორის იმარჯვა იტალიელმა გ. ტონიმ. მომდევნო ადგილები დაიკავეს კ. ნორიოიტერმა (გფრ) და ი. კნაივასერმა (ავსტრია).

## ცურვა

ლილი. ამ ქალაქის 50-მეტრიან აუზში გამართულ ზამთრის პირველობაში საფრანგეთის ახალმა იმედმა ბ. კომბემ 100 და 200 მეტრზე ბრასით ცურვაში მაღალი შედეგები აჩვენა —1.05,2 (ეს მაჩვენებელი წლეულს საუკეთესოა მსოფლიოში) და 2.23,6.

## მშდ საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეა

ბერლინი, 28 მარტი. შარშან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1,3 მილიონზე მეტმა მოქალაქემ ჩააბარა „მზად ვარ შრომისა და სამშობლოს დასაცავად" კომპლექსის ნორმატივები. შეჯიბრება მშდ-ს სამკერდე ნიშნის ტარების უფლებისთვის სულ უფრო დიდ პოპულარობას იხვეჭს—რესპუბლიკის სულ მეტი და მეტი მშრომელი გამოდის ამ საინტერესო კომპლექსის სტარტებზე, რათა ერთმანეთს შეეჯიბროს ძალასა და სიმარდეში.

ახლახან მიღებული „კანონი ახალგაზრდობის შესახებ" მშდ კომპლექსის შესრულებას განიხილავს, როგორც სოციალისტური საზოგადოების ახალგაზრდა მშენებლებთან პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემადგენელ ნაწილს. ამიტომ მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებამ ჭეშმარიტად საზოგადოებრივი მნიშვნელობა შეიძინა.

**სარბიელი** ინფორმაცია

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისი სპორტული ვარაუდი

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 30 მარტი. „ისნის" სტადიონი. დიმიტროვის სახ. ქარხანა (თბილისი) — „ვარძია" (ასპინძა). დასაწყისი 15 ს. 31 მარტი. „ლოკომოტივის" ბაზა დიღომში. „ლოკომოტივი" (თბილისი) — „ქართლი" (გორის რაიონი). 16 ს. ჭაბუკთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. 31 მარტი. „ლოკომოტივის" ბაზა დიღომში. ახალგ. საფეხბ. სკოლა (თბილისი) — მწვრთნელთა სკოლა (თბილისი). 12 ს., 30 წ. „დინამოს" ბაზა დიღომში. „დინამო" (თბილისი) — „განთიადი" (თბილისი). 11 ს. „ავაზას" ბაზა დიღომში. „ავაზა" (თბილისი) — განათლების განყოფილება (თბილისი). 11 ს.

ИНДЕКС 66446

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 01542